

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 17.02.21 წლის №102/20<sup>1</sup> გადაწყვეტილების  
მოკლე მიმოხილვა

გიგა კორკოტაშვილი

**ფაქტები**

მოპასუხე ადვოკატი წარმომადგენლობას უწევდა ბრალდებულს, რომელსაც ბრალად ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 19, 137 და 178-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. მოპასუხე ადვოკატი დაიქირავა ბრალდებულის დამ, მხარეებს შორის მოხდა საადვოკატო მომსახურების გაწევაზე ზეპირი შეთანხმება. ადვოკატი მას დაპირდა, რომ დაიცავდა მისი ძმის ინტერესებს სამივე ინსტანციის სასამართლოში. საქმის გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს სხდომები იყო დახურული, დამსწრე პირებს, მათ შორის ბრალდებულის დას არ ჰქონდა შესაძლებლობა დასწრებოდა სხდომას. მოპასუხე ადვოკატმა გასწია სხვადასხვა სახის სამუშაო, ჩაატარა აქტიური საგამომიებო მოქმედებები, მოიპოვა მტკიცებულებები, ბრალდების მხარის ყველა სადავო მტკიცებულება გახადა სადავოდ, მოითხოვა შეეფასებინათ პროკურატურის თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილების გადაჭარბების საკითხი ბრალდებულის დაკავებისას. მონაწილეობას იღებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომებში. მოპასუხე ადვოკატი პროფესიულ წრეებში სარგებლობს მაღალი რეპუტაციით. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის აქტიური საგამომიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებზე იყო აგებული დაცვის მხარის სტრატეგია. ადვოკატი ბრალდებულის ოჯახის წევრებს აწვდიდა ინფორმაციას იმ ფარგლებში, რის უფლებამოსილებასაც კლიენტი აძლევდა. საქმის მიმდინარეობის ეტაპზე ბრალდებულის დას მოპასუხე ადვოკატის მიმართ გაუჩნდა უნდობლობა, რის გამოც საქმეში ჩართო სხვა ადვოკატი რამაც უკმაყოფილება გამოიწვია მოპასუხე ადვოკატში და მან შეწყვიტა ბრალდებულის ინტერესების დაცვა.

**პროცესუალური ისტორია**

ბრალდებულის დამ (საჩივრის ავტორმა) ეთიკის კომისიას მიმართა მოპასუხე მხარის ქცევის არაეთიკურობისა და კანონშეუსაბამობის საფუძვლით. ბრალდებულს ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია პრეტენზია მოპასუხე ადვოკატის მიმართ.

**სამართლებრივი შეფასება**

ეთიკის კომისიამ იმსჯელა სახეზე იყო თუ არა ადვოკატის მხრიდან მომსახურების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულებისა და ინფორმირების ვალდებულების დარღვევის შემთხვევები (კეთილსინდისიერება და კვალიფიციურობის ვალდებულება - ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი მუხლი 5(ა), აპეკ-ი მუხლი 8.5; ინფორმირების ვალდებულება - აპეკ-ი მუხლი 6.2., 8.6.).

ადვოკატის კვალიფიციურობისა და კეთილსინდისიერების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ორი ძირითადი საკითხის განსაზღვრა (1) ადვოკატმა კლიენტთან შეათანხმოს დაცვის სტრატეგია და მოსალოდნელი შედეგების შესახებ მოახდინოს კლიენტის ინფორმირება; და (2) ადვოკატის მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგია შესაბამისობაში იყოს კანონთან.

შესაბამისად, ეთიკის კომისიის შეფასებით ქცევის ეთიკურობის შეფასებისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება შერჩეული სტრატეგიის ეფექტურობას, ვინაიდან ადვოკატი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. მთავარია, მან გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება კლიენტის დასაცავად და იქონიოს სისტემური კომუნიკაცია კლიენტთან. აღსანიშნავია, რომ ადვოკატს ვალდებულებები

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/62175c8a3579c.pdf/102-20,%20ar%20agdzvra,%2017.02.21.pdf>

წარმოეშობა როგორც კლიენტის, ისე დამქირავებლის წინაშე. ამასთან, პირველ შემთხვევაში - სახელშეკრულებო, ხოლო მეორე შემთხვევაში - პროფესიული ეთიკური. შესაბამისად, მას ევალება კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, მათ შორის კლიენტის ოჯახის წევრებზე, თუნდაც ის იყოს ოჯახის წევრის მიერ დაქირავებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე ადვოკატი ითვალისწინებდა კლიენტის ინტერესებს და ოჯახის წევრებს აწვდიდა ინფორმაციას იმ ფარგლებში, რის უფლებასაც მას კლიენტი აძლევდა. ამასთან, ადვოკატმა კლიენტთან შეთანხმებულ დაცვის სტრატეგიის ფარგლებში განახორციელა მნიშვნელოვანი და აქტიური საგამომიებო მოქმედებები, მოიპოვა მტკიცებულებები, მონაწილეობას იღებდა პირველი ინსტანციის სხდომებში და სხვა. აქედან გამომდინარე, ის კლიენტთან შეთანხმებულ მოქმედებებს ახორციელებდა აქტიურად და სახეზე არ არის მისი მხრიდან საქმის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად შესრულების მოვალეობის დარღვევა.

### **დასკვნა**

რადგანაც ადვოკატი მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებული დაცვის სტრატეგიით, მის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებზე იყო დამყარებული დაცვის მხარის პოზიცია და სათანადოდ ახდენდა კლიენტის ინფორმირებას საქმის მიმდინარეობის შესახებ, ამასთანავე, არ ახდენდა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას კლიენტის ნების გარეშე, საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის მხრიდან სახეზე არ არის საქმიის კვალიფიციურად წარმოებისა და კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ეთიკური ვალდებულების დარღვევა.